ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №126

2011 წლის 10 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №15 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №-15 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამაში" შევიდეს ცვლილება თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ამოქმედდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №26 დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე